ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის
დარგობრივი დეპარტამენტი

ნათია ბეჟანიძე

# ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

ანოტაცია

ბათუმი
2017

დისერტაცია შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივ დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მანველიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა:** მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები წამოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოში. საკითხის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ გლობალიზაციის დაჩქარებული და შეუქცევადი პროცესი მოითხოვს არგუმენტირებულ პასუხებს არა ერთ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გამოწვევაზე.

მიუხედავად გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ბუნებისა, გლობალური ეკონომიკისგან ქვეყნის იზოლაცია არა ერთი შესაძლებლობისა და უპირატესობის გამოუყენებლობაა, ამიტომაც, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ჩართულობის მაღალი ხარისხი და მრავალმხრივი სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს წინაპირობას ძლიერი, სტაბილური ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის.

ეროვნული ეკონომიკის მშენებლობისა და განვითარების საკითხები ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ადრეც ფართოდ განიხილებოდა. ამ საკითხების საფუძვლიან კვლევას აწარმოებდნენ ქართველი მეცნიერები, მათ შორის: ა. გუნია, გ.მელქაძე, გ. მშვილდაძე, დ. ძნელაძე, გ. მალაშხია, თ. ჩიკვაიძე, ი. მესხია და მრავალი სხვა. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა რიგი ისეთი საკითხებისა, რომლებიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდამდე არ შეიძლებოდა ყოფილიყო სრულად გაშუქებული. აღნიშნული საკითხებისადმი ახლებური მიდგომა

განაპირობა ბოლო ათწლეულებში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა. უპირველესად, შეიცვალა საკუთრების ფორმა, ბიზნესისადმი დამოკიდებულება, რამაც ძირეულად შეცვალა ინტეგრაციის დონე და მიმართულებები. დღეისათვის აღნიშნული საკითხების კვლევით დაინტერესებულნი არიან ქართველი მეცნიერები: ვ. პაპავა, თ. შენგელია, რ. აბესაძე, რ. ასათიანი, თ. არჩვაძე, ე. ბარათაშვილი და სხვები.

თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა პრიორიტეტული დარგებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. გლობალიზაციის გავლენით საწარმოო ძალთა ზრდა მსოფლიო მასშტაბით და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის დივერსიფიკაცია, ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესსტრუქტურებისა და, შესაბამისად, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის დონეზე.

დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონე სასურველისაგან შორსაა. დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობის დონე, გაზრდილია ინფლაცია, გაუფასურებულია ეროვნული ვალუტა. ინფლაცია და სამომხმარებლო ფასების ზრდა წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუარესების ძირიად ფაქტორს. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2016* წლის მონაცემებით (მიმდინარე ფასებით) 3852.5 დოლარს შეადგენს, რაც საშუალო მსოფლიო დონის დაახლოებით მესამედია.



науково-практична конференція«СТРАТЕГІЯ ПІДПРИЄМСТВА: РЕЗУЛЬТАТИВНІСТЬ ЗА УМОВ СИСТЕМНИХ ТРАНСФОРМАЦІЙ» (19-20 листопада 2015 року).

international scientific – practical conference ‚INTEGRATION OF BUSINESS STRUCTURES: STRATEGIES AND TECHNOLOGIES , Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University, Black Sea Research Institute of Economy and Innovation. ISBN 978-9934-8643-3-9 2017. Tbilisi – Odessa 2017.

2. N. Bejanidze, **CHALLENGES OF GLOBALIZATION PROCESSES ON GEORGIAN'S EXAMPLE.** Varna Free University „Chernorizets Hrabar" **«E-Journal VFU» ISSN 1313-7514.** Bulgaria 2016.

3. N. Bejanidze, M. Kavtaradze **„GEORGIA AND THE CHALLENGES OF GLOBALIZATION".** "ECONOMICS" - Monthly International reviewed and refereed scientific journal.

(ISSN 0206-2828). Tbilisi. 2016.

4. N. Bejanidze, M. Kavtaradze. **The tendencies of the world trade development and the analysis of the foreign trade on Georgian example.** II International Conference " Innovation Challenges of Maritime Industry". Proceeding. Batumi. 2016.

5. N. Bejanidze, M. Kavtaradze. **The role of a Port logistics clusters in development transport- transit function of the Country.** International Conference "Innovation Challenges of Maritime Industry". Proceeding. Batumi. 2015.

6. N. Bejanidze, M. Kavtaradze. N, Revutska. "**Perspectives of forming maritime logistic clusters in Georgia". INTERNATIONAL ASSOCIATION OF MARITIME UNIVERSITIES.** 16TH Annual General Assembly. International Scientific – Practical Conference. **IAMU AGA 2015**

7. N. Bejanidze, M. Kavtaradze. " **Foreign direct investment impact on the economic growth of the country".** International Scientific Conference **«BUSINESS STRATEGY: PERFORMANCE IN SYSTEMIC TRANSFORMATIONS CONDITIONS"** Міжнародна



საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2016* წელს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 645,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით იგი 5%-ით გაიზარდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის მონაცემებით, აღიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 11,1 %-ით იყო შემცირებული. ასეთი კლების ტენდენცია განპირობებული იყო 2015 წელს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით.

ამდენად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა და გლობალიზაციის პროცესის გამოწვევების გაანალიზება, ეკონომიკისა და ბიზნესის არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის და სამომავლო პერსპექტივების დასახვისათვის უაღრესად მაღალი აქტუალობით გამოირჩევა, როგორც თეორიული თვალსაზრისით, ასევე წმინდა პრაქტიკული პოზიციებიდან. აღნიშნულმა, ასპექტებმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განაპირობა ჩვენს მიერ სადისერტაციო კვლევის ობიექტის შერჩევა.

**კვლევის ობიექტი:** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები, ბიზნესგარემოში მიმდინარე ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები გლობალიზაციის პირობებში.

**კვლევის საგანი:** ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, გლობალიზაციის გამოწვევები, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკური რეფორმების ანალიზი და შეფასება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის ტენდენციების ანალიზი; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის პოტენციალი გლობალიზაციის

პირობებში, ეკონომიკის განვითარების ტემპების, ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი და დინამიკა.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ანალიტიკური კვლევის საფუძველზე შესრულებულ შრომას, რომელშიც კომპლექსურადაა გამოკვლეული საქართველოს ეკონომიკის განვითარების დინამიკა, ეტაპები და ტენდენციები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- გაანალიზებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები;
- წარმოდგენილია ეკონომიკური გლობალიზაციის წინაპირობები საქართველოში;
- დადგენილია გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ბუნება, მათი თანაფარდობა და ურთიერთკავშირი;
- განსაზღვრულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები, შეფასებულია საინვესტიციო აქტივობები სექტორულ ჭრილში, გამოვლენილია საინვესტიციო პოლიტიკის ნაკლოვანებები, დასახულია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები და ამ მიმართულებებით ბიზნეს-პროექტების ოპტიმალური მართვის ღონისძიებები ცალკეულ დარგებში;
- გაანალიზებულია ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები და წარმოდგენილია წინადადებები ეკონომიკის სახელმწიფო მარეგულირებელი ღონისძიებების სრულყოფისათვის;
- ტრადიციული და ინტენსიური დარგების განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით, შემუშავებულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რაციონალურად გამოყენების წინადადებები;



tourists in the country; increasing the volume of service and financial incomes in the state and local budget; formation of jobs and increasing the number of the employed; raising a living standard of the local population; infrastructural development of the tourism; complex application of the resource potential of the country; preservation of the culture and national identity;

14. Effectiveness of economy is significantly dependent on effective investment of the capital in preparation of highly-qualified personnel. Saving made in this direction considers considerable reduction of the effectivenss of the society and complicating integration into the world economy. In view of innovative development, integration of science, production and service quality, we significantly fall behind the developed countries with the level of modern technologies, management quality and motivation among the taff. For creating competitive advantages of Georgian economy it is important to move towards application of the recent technologies, formation of stron material and moral motiavation, as well as obtaining a significant experience for raising the competitiveness in all fields. Complexity for achieving all these aims is often conditioned due to insufficient level of our traditional management style, weaker links with the production science, non-optimal investments in the human resources, especially – in raising the competence, introduction of the recent technologies and development of the infrastructure.

**The approbation of the work:** the main conclusions, sentences and recommendations are given in the Author's (N. Bejanidze) articles and in the materials of scientific-practical conferences. The individual results of the work is published in the following magazines.

1. N. Bejanidze, M. Kavtaradze. **"THE IMPACT OF GLOBALIZATION UPON COUNTRY`S COMPETITIVE ABILITY"**, -

Middle Asia countries, on the development speeds of international competitive transit corridors and improvement of trade relations of all participant countries of the new silk road.

11. Railway transportation perform a significant role in the development of the transit function of the country. Mastering mineral fossils in the Middle Asia and the process of increasing economic growth in the region will further increase total cargo turnover in the countries of Middle Asia and Transcaucasia, relevantly the volume of the cargo to be transported via Georgia will be increased. A flexible tariff policy represents one of the most important factors for attracting added volume cargos. Hence it is desirable for the Government of Georgia to offer competitive tariffs for transportation of the cargo to the abovementioned countries, as well as increased speed, high level of trust and simplicity of transportation service, which will be ensured by the Railway, Automobile and Maritime transport of Georgia in a complex way.

12. Georgian transportation infrastructure cannot be imagined without development of the sea ports. Batumi and Poti Sea Ports have a significant role in procession of the maritime cargos. Sea Port as a generator of cargo stream connects the circles constituting transportation-logistical chain of the supply with each other. In this form it represents the cluster, the port – being its main core. The aim of forming a port cluster is to increase competitiveness of the transportation knot. It has scale effect and it provides more opportunities for technological innovation of loading-reloading operations.

13. Under the influence of international integration and globalization the following outcomes can be achieved for the development of the tourism sector on the country scale: increasing the number of



- გამოკვეთილია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილად ათვისების უპირატესობები და განსაზღვრულია ტრანსპორტის დარგსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული მრავალმხრივი კავშირები;

- შესწავლილია საქართველოში საზღვაო ლოგისტიკური კლასტერის შექმნის შესაძლებლობები და გაანალიზებულია მათი ფორმირების და ფუნქციონირების უპირატესობები და შეზღუდვები;

- გამოკვეთილია ქვეყნის სავაჭრო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, პოტენციალის სრულყოფილად ათვისების უპირატესობები;

- განსაზღვრულია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის როლი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორისა გლობალიზაციის პირობებში;

- ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის საფუძველზე შემუშავებულია გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელი.

**კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები**: სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესწავლა, ძირითად დარგებში არსებული მდგომარეობის შეფასება, გლობალიზაციის პროცესის გამოწვევების ანალიზი, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეთოდოლოგიური საკითხების, პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის ამოცანები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- გლობალიზაციის პროცესის ჩვენეული ხედვის განსაზღვრა. მისი არსის, მახასიათებლების, მექანიზმის და შედეგების სრულყოფილად წარმოჩენა;

– გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობების შესწავლა, ძირითადი გამოწვევების გაანალიზება და მათი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე;

– გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების გაანალიზება;

– ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა;

– საქართველოს ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში;

– ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ასპექტების შესწავლა და გაანალიზება:

– გლობალიზაციის პროცესის გავლენით საინვესტიციო აქტივობის ზრდის შეფასება საქართველოში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ხარისხის დადგენა ეკონომიკურ ზრდაზე სექტორულ ჭრილში;

– საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის გაანალიზება გლობალიზაციის პირობებში;

– ეკონომიკის დარგების ეფექტიანობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების დახასიათება, საგადასახადო სისტემის, საერთო ეკონომიკური გარემოს, ფულადი ერთეულის სტაბილურობის გავლენის განსაზღვრა;

– ბიზნესის განვითარების წახალისებისათვის რეკომენდაციების ჩამოყალიბება ეკონომიკის არსებული დონის ამაღლების მიზნით;

– გამოიკვეთოს კონკურენტუნარიანი დარგები, რომელთა განვითარებაზეც მომგებიანად აისახება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა, მისი გეოპოლიტიკური, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული თავისებურებები;



on the country's economy in the global environment. Possibility of receiving a synergy effect though developing inter-sectoral strategy represents a significant aspect in this time, which ensures complimentary application of the resources and in this way, production of the goods and services with high added value;

8. We consider that Foreign Direct Investments in our country's economy must be primarily directed towards ensuring economic growth. For implementing this task it is desirable to address FDIs to export-oriented enterprises, introduction of the innovation and development of the infrastructure. For attracting and supporting the investment within the country it is necessary to create and support relevant circumstances to ensure re-investment by the investors having entered the country during previous years;

9. During previous year, Georgia had a negative trade balance, being caused due to high dependence of the country on the import. From this viewpoint, it is necessary to take strategic steps towards highly-productive fields having added values. Attraction of the Foreign Direct Investments and Capital Investments in the export fields will assist Georgia to participate in the component of the chain of values.

10. A favorable transportation geographical location of Georgia will grant the country with a strategic transit function. Further strengthening of the Transit function of Georgia will be dependent on the development/adaptation of the railway and automobile infrastructural and logistical centers of all connecting circles of supply chain existing on the territory of Georgia, improvement of the transportation coordination on Georgian railway borders, accomplishment of custom procedures and taking the measures supporting commerce, economic development of neighboring and

in the rural agriculture: “Plant your future”, “Tea plantation rehabilitation program”, “Project for supporting agrarian production”, “Cheap agro-credit project”, “Agrarian Insurance Project”, “Project for co-funding processing and storage enterprises”, “Produce in Georgia” project. We think that successful implementation of the above-mentioned projects will contribute to development of the agrarian food sector of the country;

5. Development of the logistical infrastructure serves as significant challenge of the gloAblzaition, being a main pre-condition for the development of the prospective fields of Georgia – rural agriculture, industry and commerce. Favorable geographical location of Georgia serves as a natural logistical hub for the Caucasus and Central Asia, though undeveloped infrastructure and low competitiveness of the transportation system does not enable it to wholly apply the above-mentioned potential.

6. Under the conditions of the globalization for the development of the country’s economy and business it is necessary to take the following steps to promote the economic growth, as: Effective usage of the geo-political, geohraphic, natural-climate and resource potential of the country, as they represent the axis for further development of the national economy; Development of the priority fields, enabling the country to gain competitive benefit at the international labor market; Strengthening of the innovativeness meter in the social-economic development of the country;

7. The issue of raising competitiveness of the country is discussed by us in strengthening comparative advantages having the potential for attracting foreign investments, increasing readymade product portion in the export, effective usage of the local resource potential and increasing employment level, which could create a positive impact



– ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სრულყოფილად გამოყენების მნიშვნელობის დასაბუთება;

– გამოიკვეთოს ქვეყნის სატრანზიტო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების უპირატესობები;

– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობის დასაბუთება;

– განისაზღვროს საქართველოში ლოგისტიკური კლასტერის შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი წინაპირობები და გამოიკვეთოს მათი შექმნით მიღებული სინერგიულობის ეფექტი;

– გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელის შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები:** სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხები.

ნაშრომში გამოყენებულია მეცნიერული გამოკვლევის ანალიზის და სინთეზის, სისტემური მიდგომის, კორელაციურ-რეგრესული ანალიზის, ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით პროგნოზირების მეთოდები. აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, გამოცემები და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები. საზღვარგარეთელი და ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და თეორული ხასიათის მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, გამოყენებულია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები.

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომის ძირითადი დებულებები, კვლევის შედეგები, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს:

- ✓ სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურების მიერ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში;
- ✓ კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანზიტო, სავაჭრო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას. რაც დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე;
- ✓ კომპანიებმა შესაძლოა ეფექტურად გამოიყენონ არსებული სიმძლავრეები, რესურსული პოტენციალი და მიაღწიონ შესამჩნევ კონკურენტუნარიანობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დამატებული ღირებულებების შექმნას, სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ზრდას და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი „ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები“ შედგება 197 ნაბეჭდი გვერდისგან, სამი თავისგან, 11 ქვეთავისგან, შესავალისგან, დასკვნებისა და წინადადებისაგან, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისაგან.



## Conclusions

Conducted research enables us to formulate the following recommendations and proposals in the form of the thesis statements:

1. Globalization can be defined as the process of radical straitening of goods and service streams, capital, information, and technologies, which usually is not limited within the borders of National Government Regulations. its driving force first of all represented by the revolutionary changes in the sphere of informative communicative technologies, liberalization of markets and intensification of the International competitiveness.

2. One problem is equally faced by all countries, i.e. how to maximally apply the benefits of the globalization and at the same time to minimize the losses and risks.

3. Necessity for steady growth of the national economy, improvement of the social development and ecological state, the problem of unemployment and poverty and social inequality related to it serves as a significant challenge of the globalization; the state has to implement employment-based projects, whereas for creating the working sites an important role it to be attached to encouraging the business development from the government side, which on its way considers development of various fields and infrastructure.

4. Development of the rural agriculture also serves as one of the main challenges for Georgia. More than half of the labour-capable population of the country is employed in the agrarian sector. Though, the material value formed in this field, productivity of the field and profitability lebvel is rather low, which preents from growing of the competitiveness at the local as well as international markets. In response to the above-mentioned challenge the Government of Georgia launched implementation of the following significant projects

the developed countries with the level of modern technologies, management quality and motivation of the staff.

To conclude, we would like to note that for forming a competitive privilege of the economy of Georgia it is of utmost importance to move to application of advance technologies, formation of a strong material and moral motivation, as well as obtaining experience for raising the competitiveness in all the sectors. Complexity of achieving these aims is conditioned due to insufficient level of exercised management for their settlement, as well as weak links with the science of production, non-optimal investment in the human resources, especially raising the competitiveness, introduction of the recent technologies and development of the infrastructure.



სტრუქტურა

**შესავალი**

**თავი I. გლობალიზაციის არსი, ძირითადი მახასიათებლები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე**

1.1. გლობალიზაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები

1.2. გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები და მთავარი გამოწვევები

1.3. გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე

**თავი II. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში**

2.1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

2.2. გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

2.3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები

2.4. გლობალიზაცია და საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში

**თავი III. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები**

3.1. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში

3.2. ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში

3.3. აგრარული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები თანამედროვე ეტაპზე

3.4. დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელის შემუშავება

**დასკვნები და წინადადებები**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი **„გლობალიზაციის არსი, ძირითადი მახასიათებლები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე“** შედგება სამი ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში „გლობალიზაციის არსი და ძირითადი მახასიათებლები" წარმოდგენილია გლობალიზაციის არსის შესახებ სხვადასხვა უცხოელი და ქართველი ავტორების, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების განსაზღვრებები და სხვადასხვა მკვლევარების გლობალიზაციის პროცესისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები. წარმოდგენილია გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, გამოყოფილია გლობალიზაციის სამი ტალღა, რომელთა თანმიმდევრობა ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, და ასახავს გლობალურ კონკურენციულ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს.

მიგვაჩნია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადაადგილებისათვის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება; ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და ღია ეკონომიკის პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე, ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს მსოფლიო ცივილიზაციის ერთიანობას.

გლობალიზაციის პროცესის პრობლემატიკის შესწავლისადმი მიძღვნილი უცხოური და ქართული ლიტერატურის ფართოდ მიმოხილვის საფუძველზე, ნაშრომში მსოფლიო ეკონომიკის



Tourism sphere was distinctive in 2014-2016 but from 2016 the rate of increase is falling. At the same time, this period is characterized by increase of the added value of the agricultural sector. The trade is characterized by the opposite tendency. Transport sector is not distinctive by rising of the rate and is marked by unstable data of the noted indicators. According to the proposed developed model in the forecast period of 2017, 2018, 2019 rate of increase of added value, trade takes leading positions. Transport sector is also distinctive by rapidly rising dynamics. Tourism and agriculture sectors have falling markers, but the noted sectors are characterized with positive dynamics. So, the rating of the added value is the following: trade, tourism, transport, agriculture, which shows the noted branches' synergetic interrelation, privately: added value in tourism influences transport service demand rise, develops agriculture.

The opportunity for receiving synergy effect by developing inter-sector strategy ensures complementary application of the resources and in this way production of the goods and services with high added value. For achieving the above-mentioned aim it is important to ensure increasing the level of science and innovations, as well as education and qualification and ensure modern developed infrastructure. One of the most effective investments of the capital and the basis for the development of the economy lies in preparing highly-qualified personnel and technological development. In this respect, we take into account the development of the economy not only within separate sectors, whereas in all the spheres as a whole. Hence, the economy led in this very direction considerably decreases effectiveness of the society and complicates its integration into the world economy. From the viewpoint of innovative development, integration of the science, production and service quality, we significantly fall beyond

[=GROWTH(D2:D12;A2:A12;A13:A15)]
[=GROWTH(E2:E12;A2:A12;A13:A15)]

| | A | B | C | D | E |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | YEARS | Agriculture (Million GEL) | Trade (Million GEL) | Transportation (Million GEL) | Tourism (Million GEL) |
| 2 | 2006 | 1 544,3 | 1 878,6 | 1 102,8 | 872,3 |
| 3 | 2007 | 1 562,7 | 2 167,2 | 1 231,2 | 1001,1 |
| 4 | 2008 | 1 551,1 | 2 680,9 | 1 162,5 | 1031,5 |
| 5 | 2009 | 1 457,1 | 2 344,1 | 1 138,0 | 906,7 |
| 6 | 2010 | 1 509,9 | 3 024,9 | 1 415,1 | 1 095,9 |
| 7 | 2011 | 1 854,9 | 3 552,7 | 1 573,4 | 1 263,7 |
| 8 | 2012 | 1 933,3 | 3 769,5 | 1 703,9 | 1 369,0 |
| 9 | 2013 | 2 195,0 | 4 026,8 | 1 789,2 | 1 374,4 |
| 10 | 2014 | 2 328,1 | 4 385,5 | 1 928,9 | 1 586,7 |
| 11 | 2015 | 2 507,6 | 4 588,7 | 2 181,7 | 1 842,1 |
| 12 | 2016 | 2 703,2 | 4 770,4 | 2 233,2 | 2 059,8 |
| 13 | 2017 | 2 747,1 | 5 709,9 | 2 436,7 | 2 069,4 |
| 14 | 2018 | 2 927,0 | 6 278,3 | 2 630,7 | 2 247,5 |
| 15 | 2019 | 3 118,6 | 6 908,2 | 2 840,1 | 2 440,9 |

Table **#4. Forecasting result though applying the function GROWTH.**

If speaking according to the forecasting results, the size of correlation coefficient is placed between 0,9 and 1 diapason according to all four sectors. Whereas, the closer is the correlation coefficient to 1, the reliability of applied model shall be more justified.

On the basis of presented forecast, analyze the rates of increase of separate added value and define the branch which is characterized by increasing tendency of the noted markers. Such branches in future should be discussed as the strategic drivers of economic development. Dynamics of increase of added value is distributed in the following manner:



გლობალიზაციის პროცესი წარმოვადგენილი გვაქვს განზოგადოებული სქემის სახით.

მეორე ქვეთავში **„გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები და მთავარი გამოწვევები“** შესწავლილია ის არსებითი წინაპირობები, რომლის განვითარების გარეშე გლობალიზაციის პროცესი ვერ შედგებოდა, როგორც განსაკუთრებული ფენომენი. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის გაანალიზების, სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებებისა და არაერთ ქვეყანაში ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომების გათვალისწინებით, ჩვენ გამოვყავით შემდეგი ძირითადი წინაპირობები: საწარმოო, მეცნიერულ - ტექნიკური და ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ - კულტურული. ასევე სქემატურად წარმოვადგინეთ გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობების ქრონოლოგია მსოფლიო მასშტაბით და მათ შორის საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის, სოციალური განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა. მასთან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა გაფართოებული კვლავწარმოება და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ადამინთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, მართვის ხარისხის გაუმჯობესება, როგორც ბიზნესის, ასევე სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში. სამუშაო ადგილების შექმნისთვის უდიდესი როლი ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის განვითარების

წახალისებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გლობალიზაციის გამოწვევაა, აგრეთვე, სახელმწიფოთა შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთდაინტერესებაზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, სატრანზიტო და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას. ასეთ ურთიერთობებს ეფექტიანობის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე აგრარული ბიზნესის განვითარება. ამ სექტორში დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. თუმცა, შექმნილი დამატებული ღირებულება, პროდუქტიულობა და მომგებიანობის დაბალი დონე ხელს უშლის დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ ისეთი დარგების განვითარების წინაპირობაა, როგორებიცაა: ტრანსპორტი, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი. საქართველო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განვითარების პროცესში მყოფი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი სრულყოფილად. არსებული სატრანს-



with 1, it further indicates on leaner correlation of this statistically received two indicators.

As shown by the mode, growth of the added value in commerce with 98,61%, with 96,53% in transportation, with 93,91 % in tourism and 90,24% in rural agriculture will further lead to growth of Gross Domestic Products in the forecasting period or vice versa.

**FORECAST**

For forecasting expected outcomes in the economy a model of exponential regress is often used, being described with the following equation

$$y = be^{nx},$$

Where *y* and *x* are known figures, *x* is a year, whereas y - *added* value formed by the sector in this year, *m* and *b* coefficients should be selected so that the equation of exponential regression to describe the meanings obtained as the result of analyzing statistical data. Graphical method applied by us and the equation of exponential regression received with the dialogue window **Format Trendline** and the size of correlation coefficient $R^2$ allows us to define reliability for forecasting the results. When $R^2$ is placed between diapason 0,9 and 1, then the above-mentioned correlation can be applied for forecasting the results.

The meaning of exponential trend can be forecasted with the help of the **GROWTH function.** Forecasting of the expected results can be made in the rural agriculture, trade, transporting and tourism for the years of 2017, 2018 and 2019. The results received though applying the function GROWTH is provided in the table # 2.

Relevantly, the formulas are applied in B13:B15, C13:C15, D13:D15 and E13:E15 diapasons.

[=GROWTH(B2:B12;A2:A12;A13:A15)]

[=GROWTH(C2:C12;A2:A12;A13:A15)]




Diagram **4: Trend Line Diagrams – linear model**

The type of linear regression equation and coefficient of reliability for the applied model was defined for each sector $R^2$.

According to the size of correlation coefficient we can debate about linear dependence of added value indicators for the fields of economy (rural agriculture, transportation, trade, tourism) with result indicator of Gross Domestic Product.

As seen from the Diagram #4, added value formed in the field of commerce depends in a more linear way with Gross Domestic Product ($R^2$=0,9861), followed by transportation ($R^2$=0,9653), the following place occupied by tourism ($R^2$=0,9391) and the last by rural agriculture ($R^2$=0,9024). It is noteworthy that closer is the correlation coefficient



პორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ტრანსპორ-ტის სხვდადასხვა სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატ-რანსპორტო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და შესძენს ქვეყანას ეფექტური სატრანზიტო დერეფნის იმიჯს.

ამდენად, ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყველა სხვა ეკონომიკური ღონის-ძიებებიდან მიღწეული წარმატებები. ინფრასტრუქტურა წარმო-ადგენს ბაზისს, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის ამაღლებას, საქართველოს უკეთეს შიდა, რე-გიონულ და საერთაშორისო ინტეგრაციას, საინვესტიციო გარე-მოს გაუმჯობესებას.

გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სპე-ციალიზაციის გაღრმავება და ეკონომიკის დივერსიფიციკაცია. დივერსიფიცირებული ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გამრავალფეროვნების, დარგობრივი სტრუქტუ-რების კრიზისის დაძლევის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს რეალური წარმოების და მომსახუ-რების სფეროს დივერსიფიკაციას, არის ქვეყნის რეგიონებისა და დარგების განვითარების სტრატეგიების არასრულყოფილება. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები უნდა გაერთიანდეს ეკონომი-კის დივერსიფიკაციისა და იმპორტის ჩანაცვლების პრობლე-მების, შრომის საერთაშორისო დანაწილების პროგრამების გამო-ყენების ირგვლივ.

დღეისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების მოცულობის ზრდას, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებაში, ასევე ძირითადი კაპიტალის, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში. საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია.

არანაკლებ რთულ პრობლემას ბიზნესისათვის გლობალურ ეკონომიკაში წარმოადგენს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის საკითხები. ინოვაციური ტენოლოგიების დანერგვა ყოველთვის აისახება წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებზე, რაც ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. ამდენად, ინცესტიციების გარეშე, განსაკუთრებით ახალ, ინოვაციური ტიპის ძირითად კაპიტალში, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხის წარმატებით გადაწყვეტა.

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, გლობალიზაციას აქვს პოტენცილი ქვეყნის ეკონომიკას მოუტანოს სარგებელი. მთავარია ეფექტურად იქნეს გამოყენებული არსებული პოტენციალი. ეკონომიკის განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვიჩნია:

ქვეყნის გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი წამოადგენენ ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითაების საფუძველს;

- ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენება და მსოფლიო ბაზარზე პოზიციების გაფართოება.






Diagram 3. Spot diagrams

In the received dialogue window **FormatTrendline** in the insert **TrendlineOptions**, Group Trend/RegresionType (construction of a trend line) various models for constructing the equation of regression is provided: Exponential, linear, Logarithmic, Polynomial), Power and MovingAverage, which reflect a correlative interrelation between these variables. Linear model was selected;

If the above-mentioned actions are repeated for the spot diagrams of the remaining sectors, then the following diagram shall be received as the result of the **Trendline** order (Diagram 4).

| Year | Gross Domestic Product (GDP) in basic prices | Total added value and share created in separate fields of economy in Gross Domestic Product | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Agriculture, hunting and forestry; fishing (million GEL) | Share in GDP (%) | Wholesale and retail trade; repair of motor vehicles, motorcycles and personal and household goods (million GEL) | Share in GDP (%) | Transport (million GEL) | Share in GDP (%) | Tourism (million GEL) | Share in GDP (%) |
| 2016* | 29 217,1 | 2 703,2 | 9,3 | 4 770,4 | 16,3 | 2 243,20 | 7,68 | 2 059,80 | 7,1 |
| 2015 | 27 468,4 | 2 607,8 | 9,1 | 4 588,7 | 16.7 | 2 181,7 | 7.8 | 1 842.1 | 6,7 |
| 2014 | 25 095,7 | 2 328,1 | 9,2 | 4 385,5 | 17,5 | 1 928,9 | 7,7 | 1 586,7 | 6,3 |
| 2013 | 23 335,0 | 2 195,0 | 9,4 | 4 026,8 | 17,3 | 1 789,2 | 7,7 | 1 374,4 | 5,9 |
| 2012 | 22 505,8 | 1 938,3 | 8,6 | 3 769,5 | 16.7 | 1 708,9 | 7.8 | 1 389,0 | 6,05 |
| 2011 | 20 876,4 | 1 854,8 | 8,8 | 3 562,7 | 16,9 | 1 573,4 | 7,5 | 1 263,7 | 6,02 |
| 2010 | 18 014,4 | 1 509,9 | 8,4 | 3 024,9 | 16,8 | 1 415,1 | 7,9 | 1 095,9 | 6,08 |
| 2009 | 15 546,3 | 1 457,1 | 9,4 | 2 344.1 | 15,1 | 1 138.0 | 7,3 | 906,7 | 5,83 |
| 2008 | 16 521,8 | 1 551,1 | 9.4 | 2 680,9 | 16.2 | 1 162,6 | 7.0 | 1 031.6 | 6,24 |
| 2007 | 14 611,1 | 1 562,7 | 10,7 | 2 167,2 | 14,8 | 1 231,2 | 8,4 | 1 001,1 | 6,85 |
| 2006 | 12 046,9 | 1 544,3 | 12,8 | 1 878,6 | 15,6 | 1 102,8 | 9,2 | 872,3 | 7,24 |

**Table 3** . Total added value and share created in separate fields of economy in Gross Domestic Product

Development of national economy is highly dependent on increasing the additional values by individual fields of economy.The changes in one of the fields of the economy relevantly must result in changes of the consecutive indicator - Gross Domestic Product. With the purpose of checking this theory, the impact of growth or decrease of the total added values in separate fields of economy was discussed through applying a correlative-regressive analysis.

The impact of each sector on Gross Domestic Product was investigated with the help of linear trend line. For constructing the equation of **linear** regression a graphical method and dialogue window **Format Trendline** was applied.



- პრიორიტეტული დარგების განვითარება, რაც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა საერთაშორისო ბაზარზე;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინოვაციურობის მდგენელის გაძლიერება;

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ინტიტუციონალური ზემოქმედების მექანიზმები.

**მესამე ქვეთავში „გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე"** შესწავლილია გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ბუნება და ურთიერთკავშირი.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად გამოიყენებს იგი ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. გლობალიზაციის გავლენით საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა ეფექტურად გამოიყენოს და სრულად აითვისოს საექსპორტო, სატრანზიტო, სავაჭრო, ენერგეტიკული, ტურისტული და სასოფლო სამეურნეო პოტენციალი. კონკურენტუნარიანი დარგების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აღნიშნული დარგები გამოიყენებენ ადგილობრივ რესურსებს. ხოლო ლოკალური რესურსების ეფექტური გამოყენება კი გაზრდის არა მარტო მზა პროდუქციის წილს ექსპორტის მოცულობაში და უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარს საქონლითა და მომსახურებით, არამედ შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, გაზრდის შემოსავლებს და გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობას.

რამდენადაც, კონკურენტული უპირატესობების „მწარმოებ-ლები“ არიან ქვეყნის ცალკეულ დარგებში მოქმედი კომპანიები, ამიტომაც მხოლოდ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ მათი რეალი-ზება. სახელმწიფოს უშუალოდ არ შეუძლია თავად შეინარჩუნოს და განავითაროს შექმნილი კონკურენტული უპირატესობები, ვინაიდან ეს არის თვით კომპანიების საქმიანობის სფერო, მაგრამ სახელმწიფო გვევლინება კონკურენტული უპირატესობების „მატარებლად“, იმ თვალსაზრისით, რომ იგი ქმნის ხელსაყრელ ბიზნესგარემოს კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისა და შენარჩუნებისათვის.

წარმოვადგენთ გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონ-კურენტუნარიანობის განვითარების ინსტიტუციონალურ - ეკონომიკური უზრუნველყოფის კონცეპტუალურ სქემას. (სქემა #1) მეცნიერული იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხი ჩვენს მიერ განი-ხილება, შედარებითი უპირატესობების მქონე დარგების როლის გაძლიერებაში, რომლებსაც აქვთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტში მზა პროდუქციის წილის ზრდის, ადგი-ლობრივი ლოკალური რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და დასაქმების დონის ამაღლების პოტენციალი, რასაც შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკო-ნომიკაზე გლობალურ გარემოში.



At the current stage significant agrarian projects are being implemented, being accounted for long-term development: “Plant your future”, “Tea plantation rehabilitation program”, “project for supporting agrarian production”, “Cheap agro-credit project”, “Agrarian Insurance Project”, “Project for co-funding processing and storage enterprises”, “Produce in Georgia” project, successful implementation of which in the long-term prospect will support development of the rural agriculture and competitiveness of the firms operating in this field. The activities implemented within the frame of separate projects and achieved results are represented in details in the work.

In the fourth sub-chapter **„Elaboration of the Forecasting Model for the development of the sector economy“** we aim at identifying interrelation between separate fields of Georgian economy and Gross Domestic Products and elaborating Forecasting Model for the development of sector economy. With this purpose, the changes of the added value indicators formed in separate sectors and the volume of Gross Domestic Products were analyzed in dynamics.

We consider that the development of economy cannot be achieved through supporting only one specific sector of the economy. It is necessary to have a complex approach towards this issue and to adopt a synergy effect on the basis of the inter-sectoral strategy for the development of the economy, which ensures application of the resources and consequently, leading to production of the added value goods and services.

Initial data of the model in the Table 3 represented Gross Domestic Product (GDP) in basic prices and total added values formed by separate sectors of the economy (rural agriculture, transportation, trade, tourism) during 2006 – 2016.

volume of investments in the tourism sphere; creating a positive image of the country in the world tourist space, etc.

It is necessary to take complex measures for removing the factors (undeveloped infrastructure, low service quality and high prices), preventing from tourism development. In case of total mastering of the tourist potential of Georgia it will be possible to receive 56 million tourists on annual basis. Though, this result can be only achieved only with the state support.

In the third sub-chapter **"Opportunities for the development of the agrarian business at the contemporary stage"** the sector of the rural agriculture is discussed. Rural agriculture has been developed in Georgia since ancient times, though during more than the last two decades the development rate of agriculture has considerably fallen beyond the development rates of other sectors of economy. Approximately 43.4 % (i.e. more than 3 million hectare) of the territory of Georgia is considered to be belong to rural-agricultural lands, large variety of ecological and climate zones provide conditions for cultivating rural-agricultural cultures, about half of the population are living in the villages, though the portion of the products produced in this sector in the GDP of the country is rather small and the internal demand is satisfied only with one fifth.

The share of the rural agriculture in the GDP of the Country was rather high during 1990-1995s, though since 200 it was getting smaller and smaller, being rather irrelevant data for the rural agriculture with our traditions and potential. Growth was observed only in 2013. In the same period the program for development of European Neighboring Policy and Agriculture was launched (2013-2020), which aims at reviving rural agricultural sector of Georgia. Its total budget comprising 182 Million Euro.





სქემა 1. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტიტუციური - ეკონომიკური უზრუნველყოფა
წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ.

მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სინერგიულობის ეფექტის მიღების შესაძლებლობა ეკონომიკის განვითარების დარგთაშორისი სტრატეგიის შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების კომპლემენტარულ გამოყენებას და ამგვარად, მაღალი დამატებული ღირებულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ინოვაციების, განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება და თანამედროვე განვითარებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.

**ნაშრომის მეორე თავში „ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში“** განხილულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში საინვესტიციო აქტივობა საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, დეტალურადაა შესწავლილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები, შეფასებულია გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკური პროცესების სისტემაში.

საქართველოში ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საკმაოდ რთული გზით წარიმართა და გარდაქმნების პროცესი, არცთუ იშვიათად, ვერ უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან პროგრესს ეროვნული მეურნეობის სტაბილური განვითარების თვალსაზრისით. ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიული გზა ძირითადად ემყარებოდა ევოლუციური განვითარების მოლოდინს, საბაზრო კანონებთან თანდათანობით ადაპტირებას, რასაც შედარებით ნაკლები რყევები უნდა გამოეწვია. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური



direct lot portion of the tourism in GDP was increased with 77 %. This was conditioned by the fact that the best conditions were created from foreign tourism in the above-mentioned years. Intensification of the political situation in the neighboring country Turkey was added to this, due to which the tourists travelling to Turkey took orientation on our country.

Despite the fact that in 2016 the amount of International Incomes comprised a record indicator 6,350,825 (growth 7,6 %), it must be also mentioned that from 2005 to 2013 the number of international visitors in Georgia was characterized by 2-figure growth rate, the highest indicator being observed in 2012 (+57%). These figures indicate on the fact that Global crisis have a negative impact on the development of the tourism. The expenditures by foreign visitors are always positively reflected on the payment balance of any country, relevantly global financial crisis are observed in the losses, which are related to reducing the number of international visitors in the country.

It can be said in conclusion that under the influence of international integration and globalization main outcomes for the development of tourism field can the as follows for the country: achieving high quality of tourist products; increasing the number of tourists in the country, among them foreign citizens; growth of services and financial incomes in the state and local budget; formation of new working places and growth of the employed; raising a living standard of the local population; development of the tourist infrastructure; complex application of the resource potential of the country; preservation of the cultural and national identity; improvement of the ecological situation and the quality of recreational environment; evoking interest among the investors and increasing the

The share of tourism in GDP is analyzed in details according to years in the work. As seen from the data provided in the work, in 2005 the direct tourism input in GDP comprised 3,8. In the following years, this indicator is basically increased, though there are separate period when reduction is observed. E.g. in 2007 in comparison with 2006 it was reduced from 4,3% to 3,8 %. During 2007 and 2008 falling of the direct tourism input is observed, relevantly from 3,5% to 3,1%, which was conditioned due to their decrease in relevant years with -19,78% and -10,80%.

In the following years, a continuous growth of tourism is observed. The highest growth rates were fixed in 2015 in comparison to 2014, when the direct tourism input in GDP was increased with 19,83% and comprised 7,1%. This evidently indicates on the fact that during recent years the growth of tourism has a more steady character. Therefore, more effects can be obtained though effective application of the tourist potential of the country in the prospect.

The dynamics of the workforce employed in the tourism sphere is represented in the table. As it is identified from 2011 3,8% of the employed in the economy was employed in tourism. The growth was continued on steady basis and comprised 5,8% in 2015, which considers 65% growth of the number of the employed in the above-mentioned period.

Lot portion of the capital investment in the tourism in relation to GDP is also interesting from the research. It can be said that during research period the above-mentioned indicator is comparatively equally changed and fluctuates between 3,1% - 3,7 %.

Direct lot portion of the tourism in GDP during 2005-2010 was increased with 0,5 %. Similar small increase in the given period was conditioned due to the above-described reasons. During 2010-2015 the



ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ეკონომიკა საბაზრო შოკში აღმოჩნდა და რადიკალური ცვლილებების გატარება მოითხოვა.

1994-1998 წლებში გატარდა რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციის და ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, ცვლილებები განიცადა საბანკო სისტემამ, შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, განხორციელდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

ასევე ნაშრომში განხილულია 2007-2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე. აშშ–ში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა საბოლოო ჯამში პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მოიცვა. რა თქმა უნდა, კრიზისის გავლენამ საქართველომდეც მოაღწია; თუმცა, საქართველოს ეკონომიკაზე (და მათ შორის მის ფინანსურ ბაზარზეც) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა. ამდენად, საკმაოდ რთულია ამ ორი კრიზისული მოვლენის შედეგების ერთმანეთისგან განცალკევება; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსური სექტორის შედარებით სუსტი განვითარებისა და მსოფლიო ფინანსურ ქსელში ნაკლები ჩართულობის გამო, კრიზისის უშუალო გავლენა საქართველოზე მინიმალური იყო. მეორეს მხრივ, ფინანსურ სექტორში განვითარებულმა კრიზისმა გამოიწვია კრიზისი რეალურ სექტორშიც, რაც საქართველოსთვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკისთვის, ბევრად უფრო საზიანო იყო.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეორგანიზაციას, ლიბერალიზაციასა და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს სავაჭრო

საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა: გამარტივდა ექსპორტ - იმპორტის პროცედურები. შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება და გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა.

**მეორე ქვეთავში** ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის ეკო-ნომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი კერძო პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისა და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე. საინვესტიციო აქტივობის ზრდას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, ხელს უწყობს დარგების განვითარებას, რესურსების გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდნენ გამოუყენებელნი და აუთვისებელნი. ინვესტიციების განხორციელების პროცესს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ანუ, რომელიმე ერთ დარგში მიზანმიმართულ ინვესტირებას მოჰყვება მომიჯნავე დარგების განვითარებაც.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული ქვეყანაში საინვეს-ტიციო ნაკადების დინამიკა 2005-2015 წლებში; ინვესტიციების მოზიდვის პოპულარული ინსტრუმენტები; ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნებისა და ეკონომიკის სექტორების ჭრილში; გამოკვეთილია მაღალი



EU countries comprised 242,172, whereas the share of European travelers in the total amount comprised 4,1%, equaling +11% in comparison with previous year.

In 2016 the number of international visitors reached a record figure, i.e. 6,350,825, hence the growth in comparison with analogous period of previous year was fixed +7.6%. From the total amount, 2,714,773 (+19%) visits was held for 24 hours and more period. Most number of visitors travelled from Azerbaijan (+9.3%), Armenia (+1.9%), Turkey (-9.9%), Russia (+12%) and Ukraine (+21.8%). Positive tendencies are presented from the direction of EU countries, from where in view of increasing number of visitors to Georgia the following counties were distinguished during 2016: Latvia +24%, Lithuania +16%, Czech +15%, Bulgaria +12% and Germany +11%. A particular growth was observed from the following countries: Iran +485%, India +199%, Saudi Arabia +116%, Oman +75% and China +46%.

Invisible export of the tourism plays a significant role for the country. The situation when inflow of foreign currency by the foreign visitors exceeds outflow of the cash currency from the county is positively evaluated. The expenditures of foreign visitors in the country are positively reflected on the payment balance of Georgia. Appro-ximately 61, 4% of the incomes from Georgian service export accounts for tourism. In 2015 the income from foreign tourism comprised 1.94 billion USD (growth+8,3%). Whereas, the expenses of the citizens of Georgia on the foreign tourism comprised 0,33 billion USD (growth+10,2%). Therefore, in 2015 the balance of foreign tourism comprised 1,61 billion USD (growth+%) in Georgia, whereas in 2016 the above-mentioned indicator comprised 1.695 Billion (I-III quarter data) USD.

- Completion of Georgia-Turkey Railway road, resulting in application of new and more effective means for transportation;

Development of the transportation system will pre-condition a significant growth of competitive pricing on Georgian products.

We consider that improvement of the transport infrastructure will result in synergy effect in the development of priority fields.

In the second chapter of the second sub-chapter **"Tendencies and Prospects for Tourism Development in Georgia"** analyzes main trends for the development of tourism field by the influence of Globalization process, dynamics of international visitors in the country during the last 12 years is studied, the contribution of the tourism in GDP is defined and evaluated according to years.

For the development of tourism within the country it is necessary to ensure coordinative work of the society, government, foreign and local investors. The society must become aware of the basis of on which its competitive advantage is based in comparison to other countries and to improve the service.

The state plays an important role in introduction of the international standards in the Tourism sphere though arrangement of relevant regulations and infrastructure. A particular focus is attached to investments, representing a motive power for tourism development.

In 2015 a large part of the international incomes, i.e. 87,8% (5,180,010) was generated from neighboring countries, only 12,2% (721,084) was brought from other countries. Armenia was the leader of the year in terms of the visits 1,468 888 (+10,8%), as well as quantitative growth (+143,253). The number of visits has significantly increased from the following countries: Russia (+114,523), Azerbaijan, (+110,043) and Israel (+17,102). During 2015 the number of visits from



საინვესტიციო აქტივობის სექტორები არა მხოლოდ სტატიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მშპ-ის ზრდაზე და ასევე მიმღები ქვეყნის შრომის ბაზარზე მათი შესაძლო პირდაპირი და ირიბი ეფექტები.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციები, უპირველესად მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ამ ამოცანის განსახორციელებლად სასურველია მათი მიმართვა ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებში, ინოვაციების დანერგვაში იმპორტჩამნაცვლებელი დარგების, აგ-რეთვე ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

საქართველოში საინვესტიციო ნაკადების ზრდის ტენდენცია 2005 წლიდან შეინიშნებოდა 2007 წელს ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და შეადგინა 2,014 მილიონი აშშ დოლარი. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პუი-ს წილი მშპ-ში და საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალ ნიშნულს 19.8% მიაღწია. 2005 წელთან შედარებით იგი 182%-ით გაიზარდა. ამ ტენდენციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები. 2008 წელს ცნობილი მიზეზების გავლენით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 12.2 % შეადგინა, ანუ შემცირდა 38%-ით.



დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და წილი მშპ-ში
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიურ მონაცემებზე დაყრდნობით

2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, დაზუსტებული მონაცემებით, 1 564 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9.7% -ია. ამდენად, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ქვეყანაში პუი-ბი შემცირდა -11 %-ით. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 2014 წლის მაჩვენებელი 2007 წლის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალი იყო, ხოლო 2015 წელს კლების ტენდენცია განპირობებული იყო ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული მშპ-ს დინამიკა 2005-2015 წლებში (ცხრილი#1). მშპ-ს დინამიკის სრულყოფილი ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუდმივი ფასების გამოყენება, რამდენადაც ეს მაჩვენებელი უფრო ზუსტად აღწერს რეალურ სურათს ეკონომიკაში. გარდა ამისა, წარმოდგენილია მშპ-ს ზრდის ტემპი პროცენტულად წლების მიხედვით, შესწავლილია დინამიკა ერთ სულ მოსახლეზე და მისი ზრდის ტემპი, ასევე მშპ-ს დეფლატორი (%), რომელიც გვიჩვენებს ფასების



which will also increase the demand for their transporting via tankers. With this purpose, the Government of Turkey is planning to increase passing capacity of the Bosporus Strait. Turkey is planning to relieve Bosporus Strait overloaded with ships by constructing its duplicate channel. Presumably, a new channel to be named after “Istanbul Channel” will exceed Suez and Panama Canal, being able to be used for passing 160 ships and oil tankers per day. The project is scheduled to be completed for 2023. A new channel may also lead to accelerating growth of oil-pipeline construction, Caspian largest oil deposits are expected to reach maximal extraction level, which correspondingly will increase demand for Turkish channels. Forecasting indicators for increasing oil extraction in the Caspian Sea region are rather impressive. The data provided that oil extraction forecast is considerably increased and for 2030 it will reach 5.7 barrel per day. Passing the above-mentioned volume of oil is only possible through currently existing pipeline, whereas a part of it can be passed though the railway, from Georgia Sea Ports. Unless maritime infrastructure of Georgia is unprepared for the above-mentioned process, the cargos shall be distributed on other alternative directions.

Realizing the business model of the logistical clusters on the basis of Georgian Sea Ports is to support involvement of industrial, transportation and logistical companies in the impact zone of the logistical clusters.

Main pre-conditions for forming and functioning of the maritime logistical clusters in Georgia include:

- Existence of significant unapplied potential in the logistics for storage and conservation of the maritime cargos as well as air transportation in Georgia;

Main goals of the logistics are formulated as the goals of the port (optimal usage of capacity, high mobility in entrepreneurial activity, rapid response to clients' demands, immediate readiness for service provision, reliability in service provision, reduction of the expenditures, considering clients' needs and constraints). Achieving these goals increases competitiveness of the ports and together with this port infrastructure is also partially changed (transportation-logistical centers are formed on the territory of the port; industrial-logistical centers are expanded around the port).

Expansion of the transit roads passing on Georgia represents the demand of the world economy, being conditioned due to huge supply of carbonic raw materials in the Caspian Sea basin. Based on experts' evaluation of the oil found on the territory of Azerbaijan fluctuates between 25-40 billion $m^3$. The Russian part of Caspian oil supply comprises 1,5 billion m $^3$, Kazakhstan owns up to 6 billion $m^3$ oil. Besides this, huge gas supplies in the amount of almost 6,5 trillion $m^3$ are found on the territory of Turkmenistan. Only several alternative ways exist for transportation of the above-mentioned raw material to Europe and the USA. These include: though passing the territory of Russia (basically applying Novosibirsk Port); though passing the territory of Azerbaijan and Georgia; though passing the territory of Azerbaijan, Georgia and Turkey or Azerbaijan, Iran and Pakistan. All these four routes serve as competitive routes; therefore transit states express huge interest towards the above-mentioned issue, as it can bring significant economic effect for all citizens of the country. The road passing though Georgia is the most attractive from the above-listed.

It is expected that Caspian Sea Countries will increase oil extraction indicator in the future, necessary for transportation of



ზრდით გამოწვეულ ზრდას. აღნიშნული მაჩვენებლების ანა-ლიზი სრულფასოვან წარმოდგენას იძლევა მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე საანალიზო წლებში (2005-2015 წ/წ).

საკვლევ პერიოდში, მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება ყოველწლიურად, გარდა 2009 წლისა - 2008 წელთან შედარებით (-3,78%). ბუნებრივია, ეს განპირობებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით, ხოლო 2007 წელს მშპ უფრო მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა წელს. რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპებს - რყევები შეინიშნებოდა საკვლევი პერიოდის საწყისს წლებში, მაგალითად, 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, ზრდის ტემპი შემცირდა -2,25 %-ით. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით -81, 25% -ით. შემცირების ტენდენცია იყო, აგრეთვე, 2009, 2010, 2012, 2013 და 2015 წლებშიც. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მშპ-ს ზრდის ტემპი წლების მიხედვით იყო არათანაბარზომიერი, რაც განპირობებული იყო როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორებით, ამავე პერიოდში ინვესტიციების მასშტაბების რყევებით, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზით.

2015 წელს რეგიონში არსებული კრიზისის კვალდაკვალ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება გამოიწვია. ლარის გაუფასურებამ და საერთაშორისო დონეზე დოლარის გამყარებამაც იქონია უარყო-ფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების განმავლობაში საქართველოსთვის მთავარი ამოცანა იყო არა ის, თუ როგორ გაეზარდა უცხოური ინვესტიციებისგან მისაღები შედეგები, არამედის, ის თუ როგორ მოეზიდა რაც შეიძლება მეტი ოდენობით.

ამავე პერიოდში არ იქნა გატარებული სათანადო ზომები ადგილობრივი პროდუქციის წარმოების დაცვის მიზნით, რის

გამოც ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტულმა პროდუქციამ მყარად მოიკიდა ფეხი და გასაღების ბაზრის 80% დაიკავა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

სასურველია ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობი-სათვის წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვეს-ტიციის განსახორციელებლად შესაბამისი გარემოებების შექმნა და ხელის შეწყობა; საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვა-დიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

**მესამე ქვეთავში** ყურადღებას ვამახვილებთ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებზე, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისთ-ვის. საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება იყო და ისევ რჩება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. მასთანაა დაკავში-რებული ქვეყანაში ინფლაციის, ფასების ზრდის და ლარის კურ-სის ვარდნა. რამდენადაც მეტად იზრდება ექსპორტი, მით მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში, ხოლო რაც უფრო მეტია იმპორტი, მით უფრო ნაკლები ვალუტა რჩება ქვეყნის ეკონომიკაში, შესა-ბამისად, როგორც დოლარის კურსისის ზრდაზე, ისე ლარის



the advantages of their formation and functioning as well as limitations.

Logistical cluster represents an effective tool for optimizing the expenditures and increasing the competitiveness and it is discussed as a unity of competitive companies and enterprises (industrial, transporta-tion, logistical, commercial), being geographically connected with each other and cooperating on the basis of voluntary relations for increasing effectiveness of material-technical service. The clusters represent one of the most effective forms in the age of globalization and the knowledge economy.

Sea Port as a generator of cargo stream connects the circles constituting transportation-logistical chain of the supply with each other. In this form it represents the cluster, the port –being its core. The aim of forming a port cluster is to increase competitiveness of the transportation knot.




Scheme: 3. Types of synergistic effects in the logistics cluster (adopted from http://www.rusnauka.com/36_PVMN_2013/Economics/11_152118.doc.htm)

mentioned strong side is not effective applied, being indicated by the dynamics of the cargo transportation in the Sea Ports of Georgia.




Diagram 2. The volume of cargo handling at Georgian sea ports and terminals
Source: http://www.economy.ge/ge/economic-data/transport

As we see, the number of the cargos processed in sea ports and terminals are characterized by the reducing tendency. E.g. by the data of I-X months of 2016 the volume of the processed cargo at Batumi Sea Port was decreased with 33% in comparison with 2013. Currently, lack of cargos is observed at Batumi Sea Port, which could be resulting from already-changed and ineffective management of strategically important enterprise for the country. As for the container cargos, Poti Sea Port during the recent years has occupied a leading position in procession of the container cargos, where the highest growth indicator was fixed at Batumi Sea Port in 2012 (73, 095 TEU).

It is recommended that the development of the ports to be proportionally relevant with other transportation infrastructure of Georgia. It will be necessary to elaborate a scientifically justified program for the development of the maritime infrastructure of Georgia. In view of this, we made efforts to study the opportunities for creating maritime logistic clusters in Georgia in the future, analyzing



გაუფასურებაზე და საერთოდ, ეკონომიკის განვითარებაზე, ნეგატიურად აისახება უარყოფითი სავაჭრო სალდო.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 1995-2015 წლებში. დადგენილია, რომ წლების განმავლობაში იმპორტის ზრდა დაკავშირებული იყო ქვეყანაში ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის ზრდასთან, რაც მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე მიუთითებს. ამასთან, უარყოფითი სავაჭრო სალდო ყოველთვის კომპენსირდებოდა როგორც მომსახურების ექსპორტიდან (ტურიზმი, საერთაშორი-სო გადაზიდვები) მიღებული შემოსავლებით, ისე საზღვარგარე-თიდან ფულადი გზავნილებითა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, რაც ვალუტის კურსის სტაბილურობას უწყობდა ხელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 933 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია. ექსპორტი შემცირდა 23%-ით და 2 204 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. იმპორტი შემცირდა 10%-ით და 7 729 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5 525 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 56%. ამ დინამიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ლარის კურსზე წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზეწოლა იყო. ამავე წელს, საგადამხდელო ბალანსის კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ფულადი გზავნილები, რომელიც ქვეყანაში ვალუტის იმპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 29%-ით შემცირდა. ამდენად, იმპორტის შემცირებაზე ლარის კურსის გაუფასურებამ უაღრესად დიდი გავლენა იქონია, რამაც უცხოური პროდუქცია

ჩვენი მოსახლეობისთვის გააძვირა და იმპორტზე მოთხოვნაც მნიშვნელოვნად შეამცირა.

ნაშრომში დაწვრილებითაა წარმოდგენილი საქართველოს სავაჭრო ბრუნვის წილი ევროკავშირის, დსთ-სა და სხვა ქვეყნების მიხედვით, აგრეთვე შესწავლილია ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა და იმპორტის სტრუქტურა ქვეყნებისა და მთავარი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. გაანალიზებულია ექსპორტის ბაზარზე ფირმების შესვლის და ბაზრის დატოვების მაჩვენებელი საქართველოში.

პროდუქტიულობა და პროდუქციის დივერსიფიკაცია, თანამშრომლობა უცხოურ ფირმებთან და სავაჭრო ქსელებთან, მნიშვნელოვანია ექსპორტის სიცოცხლის უნარიანობის ზრდისთვის. ფირმებს, რომლებიც შედარებით მეტად არიან დივერსიფიცირებულნი პროდუქციის დონეზე, ბაზარზე დარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ. თუმცა, ვთვლით, რომ ექსპორტის სიცოცხლისუნარიანობის შანსს უფრო წარმოების ეფექტიანობა ზრდის, ვიდრე მისი მოცულობა.

ფირმებს, სადაც არსებობს უცხოური კაპიტალის მონაწილეობა, სავარაუდოდ, ბაზარზე დარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვთ, უკეთესი მენეჯმენტის, მოწინავე ტექნოლოგიების, საერთაშორისო ბაზრების უკეთ ცოდნის და ფინანსურ რესურსებსა და საბაზრო კვლევებზე წვდომის გამო. ასევე მნიშვნელოვანია ქსელური ეფექტი. რაც უფრო მეტი ფირმა აწარმოებს ერთი პროდუქტის ექსპორტს ან ექსპორტს დანიშნულების ერთი ადგილის მიმართულებით, მით მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი საექსპორტო ბაზრის თავისებურებებზე.

ქართული ფირმები, უმთავრესად, დამოკიდებულნი არიან ერთი და იმავე პროდუქტის მზარდ ექსპორტზე ან ექსპორტზე დანიშნულების ერთი ადგილის მიმართულებით. ექსპორტის



the economic growth, whereas growth of transportation sector influences on the number of the employed and their income growth.

Multiple links existing between transportation and economic growth is reflected on the scheme. Development of the transportation network contributes to generating consecutive positive effects. In particular, improvement of the transportation provision on the one hand supports growth of the infrastructural capital, companies' entering/abandoning of bigger markets, more effective application of the workforce, which on its way will be positively reflected on the real volume of the Gross Domestic Product, growth of the employed population, reduction of producing the products and value of distribution, etc.

Investments in the transportation infrastructure is actually always considered to be as a forerunner of the economic growth, as a stimulus for forming a demand, which to certain extent contributes to the development of the economic development. The investments result in reduction of the final price of the goods though reducing the expenses on the transportation meters and play a significant role in reducing the level of economic disproportions between the regions, increasing competitiveness for accessing new markets, having influence on migration of the workforce, specialization and cooperation, as well as on reduction of the value for registering the cargos in internal and external logistic systems of the country.

Georgian transportation infrastructure cannot be imagined without development of the sea ports. Batumi and Poti Sea Ports have a significant role in procession of the maritime cargos. Access to the Black Sea enables Sea Ports of Georgia to perform the function of regional transit center and increase their portion in the transit cargos. This serves as one of the priority of the country, though the above-




Scheme 2. Multiple links existing between transportation and economic growth.

There are diversified approaches in relation to which is the primary: economy (represented with the structure of economic system and proportions), which has an impact on the transportation field or the transportation field which stimulates the economy. To say in another way, is economic growth generated by the investment in the transportation sector or economic growth results in growth of the investment in the transportation infrastructure? Some authors pay a particular attention on the number of the employees while investing in the infrastructure of separate regions, whereas for other authors it would be more interesting to receive benefit through development of the transportation field. In any case it is clear that well-developed economy correspondingly requires well-developed transportation system.

Development of the transportation serves as a pre-condition for expansion of the commerce and intensification of the competitiveness of the economic regions. Similar development is observed in parallel to



მდგრადი ზრდა ჩვეულებრივ დაკავშირებულია ახალი პროდუქტების შექმნასთან, ახალ ბაზრებზე გასვლასთან (ექსტენსიური მარჟა) და არსებული საექსპორტო ურთიერთობების გაფართოებასთან (ინტენსიური მარჟა).

რეალურად, 2000 წლის შემდეგ საქართველოში ექსპორტის სფეროში საშუალო ხელფასი, დამატებიული ღირებულება და უნარ-ჩვევები მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა. ჩვენი მოსაზრებით, ვაჭრობიდან სრული სარგებლის მიღებისათვის აუცილებელია შრომითი ბაზრის შედეგების გაუმჯობესება და ამ თვალსაზრისით, საჭიროა სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა, რომ ხელი შეეწყოს რესურსების გადანაცვლებას უფრო მაღალპროდუქტიული და დამატებული ღირებულების მქონე დარგებისკენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვა საექსპორტო დარგებში დაეხმარება საქართველოს ღირებულებათა ჯაჭვის მეტ კომპონენტში მონაწილეობის მისაღებად. ამან შესაძლოა მეტი დინამიკა შესძინოს ექსპორტის სფეროს და დადებითი გავლენა იქონიოს დასაქმებასა და ხელფასებზე. დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა (სავაჭრო დეფიციტი) საგრძნობლად გაიზარდა, რაც უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად, ქვეყნის ყოველდღიურობაში.

**მეოთხე ქვეთავში** დეტალურად არის მიმოხილული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული კვლევების შედეგები და განსაზღვრულია საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: დაბალი კრიმინალით, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული

პროცედურების ნაკლებობით, ხოლო პრობლემური მდგომარეობა გვაქვს შემდეგი მიმართულებებით: ინოვაციებში, მეცნიერებასა და კვლევების წარმოებაში, პროფესიონალ სამუშაო ძალაში, პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობასა და პოლიტიკის არასტაბილურობაში.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში **„გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“** ჩატარებულია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების კვლევა და მოცემულია კვლევის შედეგების ანალიზი. აქცენტი გადატანილია იმ დარგებზე, რომლებიც მაღალკონკურენტუნარიანნი არიან და სადაც შესაძლებელია საექსპორტო პოტენციალის ამაღლება. განხილულია საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში და გამოკვეთილია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილად ათვისების უპირატესობები; გაანალიზებულია ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებები; გამოყოფილია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების როლი ბიზნეს-სტუქტურების და შესაბამისად, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში; ექსპონენციალური რეგრესიული მოდელის საფუძველზე შემუშავებულია გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი ეკონომიკის განვითარების საპროგნოზო მოდელი.

მესამე თავის პირველ ქვეთავში **„საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში“** გაანალიზებულია სატრანზიტო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩევა სტრატეგიული ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით, მაგრამ აქვს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული



Despite the fact that during 2015-2011 total volume of the railway transportation was characterized by the tendency for decrease (with almost 30%), 56% of the total volume comes on the transit cargos. The above-mentioned type of high indicator in strengthening the transit function indicates at the importance of the railway transportation. It is also noteworthy that JSC “Georgian Railway” represents one of the largest corporate employers in the country, currently employing 12.966 people, an average salary of which comprises 955 Gel; besides this, the salary is basically fixed and is not dependent on the volume of the transportations.

Mastering mineral fossils in the Middle Asia and the process of increasing economic growth in the region will further increase total cargo turnover in the countries of Middle Asia and Transcaucasia, relevantly the number of the cargo to be transported via Georgia will be increased. As under the condition of fierce competition it is not difficult to search alternative routes of transportation, hence it is desirable for the Government of Georgia to offer competitive tariffs for transportation of the cargo to the abovementioned countries, as well as increased speed, high level of trust and simplicity of transportation service, which will be ensured by the Railway, Automobile and Maritime transport of Georgia in a complex way.

Developed transportation system serves as a necessary pre-condition for social-economic development of the country; whereas the link and interrelation between transportation field and economic growth is rather close.

transportation geographical location, granting it the transit function of strategic importance. Growth of the transit potential serves as one of the directions for the strategic development of the country, which supports trans-economic activities in the future.

A particular focus is made on the role of the railway transportation in the development of the transit function and the potential of transporting the oil from Turkmenistan in the work, which is of significant importance for raising competitiveness of Georgia. As the result of analyzing statistical data of the railway transportation it was clarified that the share portion of the transit cargos in the total volume of the cargo transportation (38% liquid and 18,2 % dry cargos) significantly exceeds the analogous indicator of the local cargos (2,2 % liquid and 14.7% dry cargos).

Table 2.

**Freight transportation volume by destination**

| | Million tons | | | | | Percent | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2015 | 2014 | 2013 | 2012 | 2011 | 2015 | 2014 | 2013 | 2012 | 2011 |
| **Liquid cargoes** | **6.7** | **7.5** | **9.1** | **9.5** | **10.5** | **47.7%** | **45.1%** | **50.0%** | **47.2%** | **52.0%** |
| Transit | 5.4 | 6.3 | 7.9 | 8.2 | 9.2 | 38.0% | 37.7% | 43.5% | 41.1% | 45.5% |
| Export | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.2% | 0.3% | 0.3% | 0.2% | 0.2% |
| Import | 1.0 | 1.0 | 0.9 | 0.9 | 0.9 | 7.3% | 5.7% | 4.9% | 4.4% | 4.4% |
| Local | 0.3 | 0.2 | 0.2 | 0.3 | 0.4 | 2.2% | 1.4% | 1.3% | 1.5% | 1.8% |
| **Dry cargoes** | **7.4** | **9.2** | **9.1** | **10.6** | **9.7** | **52.3%** | **54.9%** | **50.0%** | **52.8%** | **48.0%** |
| Transit | 2.6 | 3.2 | 3.3 | 3.9 | 3.4 | 18.2% | 19.3% | 18.0% | 19.3% | 17.0% |
| Export | 1.1 | 1.6 | 1.7 | 1.7 | 1.5 | 7.6% | 9.5% | 9.2% | 8.3% | 7.7% |
| Import | 1.7 | 2.0 | 1.9 | 2.4 | 2.0 | 11.8% | 12.1% | 10.2% | 11.9% | 10.2% |
| Local | 2.1 | 2.3 | 2.3 | 2.7 | 2.6 | 14.7% | 14.0% | 12.6% | 13.3% | 13.1% |
| **Total** | **14.1** | **16.7** | **18.2** | **20.1** | **20.1** | **100%** | **100%** | **100%** | **100%** | **100%** |

Source: http://www.railway.ge/files/q12012/annual_report_2015.pdf



მდებარეობა, რაც მას სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა ქვეყნის სტრატეგიული განვითარე-ბის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც ხელს შუწყობს ტრანსეკონომიკურ აქტივობებს მომავალში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სატრანზიტო ფუნქ-ციის განვითარებაში სარკინიგზო გადაზიდვების როლზე და თურქმენული ნავთობის რკინიგზით გადაზიდვის პოტენციალ-ზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტუნა-რიანობის ამაღლების თვალსაზრსით.

ცხრილი №2.

**სატვირთო გადაზიდვების მოცულობა დანიშნულების მიხედვით**

| | მილიონი ტონა | | | | | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2015 | 2014 | 2013 | 2012 | 2011 | 2015 | 2014 | 2013 | 2012 | 2011 |
| **თხევადი ტვირთი** | **6.7** | **7.5** | **9.1** | **9.5** | **10.5** | **47.7%** | **45.1%** | **50.0%** | **47.2%** | **52.0%** |
| ტრანზიტი | 5.4 | 6.3 | 7.9 | 8.2 | 9.2 | 38.0% | 37.7% | 43.5% | 41.1% | 45.5% |
| ექსპორტი | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.2% | 0.3% | 0.3% | 0.2% | 0.2% |
| იმპორტი | 1.0 | 1.0 | 0.9 | 0.9 | 0.9 | 7.3% | 5.7% | 4.9% | 4.4% | 4.4% |
| ადგილობრივი | 0.3 | 0.2 | 0.2 | 0.3 | 0.4 | 2.2% | 1.4% | 1.3% | 1.5% | 1.8% |
| **მშრალი ტვირთი** | **7.4** | **9.2** | **9.1** | **10.6** | **9.7** | **52.3%** | **54.9%** | **50.0%** | **52.8%** | **48.0%** |
| ტრანზიტი | 2.6 | 3.2 | 3.3 | 3.9 | 3.4 | 18.2% | 19.3% | 18.0% | 19.3% | 17.0% |
| ექსპორტი | 1.1 | 1.6 | 1.7 | 1.7 | 1.5 | 7.6% | 9.5% | 9.2% | 8.3% | 7.7% |
| იმპორტი | 1.7 | 2.0 | 1.9 | 2.4 | 2.0 | 11.8% | 12.1% | 10.2% | 11.9% | 10.2% |
| ადგილობრივი | 2.1 | 2.3 | 2.3 | 2.7 | 2.6 | 14.7% | 14.0% | 12.6% | 13.3% | 13.1% |
| **სულ** | **14.1** | **16.7** | **18.2** | **20.1** | **20.1** | **100%** | **100%** | **100%** | **100%** | **100%** |

წყარო: http://www.railway.ge/files/q12012/annual_report_2015.pdf

სარკინიგზო გადაზიდვების სტატისტკური მონაცემების გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ტვირთგადაზიდვის

საერთო მოცულობაში სატრანზიტო ტვირთების ხვედრითი წილი (38% თხევადი და 18,2% მშრალი ტვირთები), მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი ტვირთების ანალოგიურ მაჩვენებელს (2,2% თხევადი და 14,7 % მშრალი ტვირთები).

სამომავლოდ შუა აზიაში წიაღისეული სიმდიდრეების ათვისება და რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდის პროცესი კიდევ უფრო გაზრდის შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ტვირთბრუნვის მთლიან მოცულობას, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს გავლით გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა. დამატებითი მოცულობის ტვირთების მოზიდვისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, წარმოადგენს მოქნილი სატარიფო პოლიტიკა. რამდენადაც მწვავე კონკურენციის პირობებში რთული არ არის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების მოძიება, სასურველია, რომ საქართველომ შეთავაზოს ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ტვირთების გადაზიდვისთვის კონკურენტუნარიანი ტარიფები, გაზრდილი სიჩქარე, საიმედოობის მაღალი დონე და სატრანსპორტო მომსახურების სიმარტივე, რაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტმა კომპლექსურად.

განვითარებული სატრანსპორტო სისტემა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ტრანსპორტის დარგსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება კი ძალზედ მჭიდროა.

არსებობს გარკვეული განსხვავებული მიდგომები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის პირველადი: ეკონომიკა (მოცემული სამეურნეო სისტემის სტრუქტურითა და პროპორციებით), რომე-



